სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 დეკემბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/116

ბსუ-ს 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - „ფულადი მიმოქცევა და საბანკო საქმე XIX ს მეორე ნახევრისა და XX ს პირველი მეოთხედის ბათუმში" საბოლოო პროგრამული ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' მე-5 და მე-6 მუხლების, ბსუ-ში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 12 თებერვლის №01-02/15 ბრძანების, „ბსუ-ში 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 მარტის №06-01/25 დადგენილების, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ირინე ვარშალომიძის 2024 წლის 18 დეკემბრის № 1623933 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს ბსუ-ში 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - **„ფულადი მიმოქცევა და საბანკო საქმე XIX ს მეორე ნახევრისა და XX ს პირველი მეოთხედის ბათუმში"** ხელმძღვანელის/მენეჯერის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის **ირინე ვარშალომიძის** მიერ წარმოდგენილი საბოლოო პროგრამული ანგარიში (წინამდებარე დადგენილების **N1. დანართი** - გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებული აქტივობების, პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად გაწეული ხარჯების, გაცემული თანხების შესახებ).

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელს ირინე ვარშალომიძეს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**